ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge. 05.01.2018, №010250050.35.123.016415), კერძოდ, დადგენილების №1 დანართის („ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის დებულება) მე-10 მუხლიდან (ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების რეგისტრაციის და განკარგვის განყოფილება) ამოღებულ იქნეს ,,ი“, ,,მ“, ,,ს“ და ,,ტ“ ქვეპუნქტები.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისი მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 1 აპრილის N ბ44.442409214 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის სისტემური, ეფექტიანობისა და შესაბამისობის შიდა აუდიტორული შემოწმება. წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის რეალურ საქმიანობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია მის დებულებაში შევიდეს ცვლილებები და დებულების მე-10 მუხლიდან (ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების რეგისტრაციის და განკარგვის განყოფილება) ამოღებული იქნას პუნქტები ,,ი“ ,,მ“, ,,ს“ და ,,ტ’’.

ბ) დადგენილების პროექტის მიღების მიზანი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა.

2. დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

პროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ფინანსურ ხარჯებთან.

3. დადგენილების პროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ:

დადგენილების პროექტის შემუშავებაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად მონაწილეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული იურიდიული განყოფილება.

4. დადგენილების პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი - დავით ერემეიშვილი.

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტის წარმომდგენი პირი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტს წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი ვალერიან სილაგაძე.

დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერის მოვალეობის შემსრულებელი